სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 30 მაისის №117/01-01 ბრძანებით, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის, გეომორფოლოგია და კარტოგრაფიის კათედრის ასისტენტ პროფესორის („კატეგორია ა"), სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის, შემოვიდა ერთი განაცხადი. თსუ აკადემიური საბჭოს **2023 წლის 18 ივნისის №56/2023** დადგენილების მეორე პუნქტის საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას.

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი 17 ივლისი, 2023

კომისიის შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

1. დალი ნიკოლაიშვილი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ვაჟა ტრაპაიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ლამზირა ლაღიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ლია მაჭავარიანი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
5. დავით კერესელიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის, გეომორფოლოგია და კარტოგრაფიის კათედრაზე, ასისტენტ პროფესორის („კატეგორია ა"), ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე, სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შეფასების პირველი და მეორე ეტაპის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფ. დალი ნიკოლაიშვილის ინფორმაცია, საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეეული არ იყო. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის, გეომორფოლოგია და კარტოგრაფიის კათედრის ასისტენტ პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად, საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა- გეოგრაფიის დოქტორმა **გიორგი დვალაშვილმა.**

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ **გიორგი დვალაშვილმა** განათლება: კვალიფიკაცია გეოგრაფიის სპეციალობის ბაკალავრი, გეოგრაფიის მაგისტრი; აკადემიური სამეცნიერო ხარისხი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიური დოქტორი), სამსახურებლივი გამოცდილება, 2004-2009 წწ - თსუ, გეომორფოლოგია და კარტოგრაფიის კათედრა, საათობრივი წესით მოწვეული ლექტორი; 2006-2009 წწ, თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის

გეოგრაფიის ინსტიტუტი, გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიისა და კარტოგრაფია-გეოინ-ფორმატიკის განყოფილება, განყოფილების გამგე; 2009-2014 წწ თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილება, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; 2009-2014 წწ, თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულ-ტეტი, გოგრაფიის დეპარტამენტი, გეომორფოლოგია - კარტოგრაფიის კათედრა, ასისტენტ პროფესორი. პედაგოგიური სტაჟი - (6 წელზე მეტი) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების I **კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან"** წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური /სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით **"კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს"**.

II **კატეგორია - "პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან"** -

აღინიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2004 წლიდან დღემდე, თსუ-ში სხვადასხვა დროს ეკავა, საათობრივი წესით მოწვეული ლექტორის, გეომორფოლოგია - კარტოგ-რაფიის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობები) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და გეოგრაფიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების კურიკულების საგნების ნუსხაში შედის. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით (პედაგოგიური გამოცდილების_შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო შეფასება „მაღალი"**.

III კატეგორია-სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობა- კომისიის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს განსახილველად წარმოდგენილი აქვს სამეცნიერო ჟურნალში, გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო პუბლიკაცია (ბოლო 6 წლის მანძილზე). იგი მოხსენებებით წარსდგა 5 სამეცნიერო და 2 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე. **თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტთან** (ბრნოს მასარეკის უნივერსიტეტი, ჩეხეთი); **სამეცნიერო ცენტრებთან** ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში (პროექტებში მონაწილეობა, მივლინება/სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.).

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომელიც ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას მიმართულების განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა და თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დონეზე.

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი".

IV კატეგორია სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი). აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები იყო, მაგისტრებისა და დოქტორანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სტუდენტთა ხელმძღვანელობა სამეცნიერო კონფერენციებზე; მაგისტრატურაში მისაღები და სააპელაციო კომისიის წევრობა, თანამშრომლობა რამდენიმე არასამთავრობო გარემოსდაცვით ორგანიზაციასთან, მონაწილეობა გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების პროექტებში; კომპიუტერული პროგრამების ფლობა; საორგანიზაციო სამეცნიერო კომიტეტების წევრობა და მრავალი სხვა.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასებით IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

კომისიის მიერ კონკურსის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასსუხის რეჟიმში გაიმართა. კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტედენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა

პრეტედენტის სამეცნიერო ინტერესები, სამეცნიერო და საგაზმანათლებო საკითხების ღრმა ხედვა და პროფესიონალიზმი, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესების ორგანიზების ინდივიდუალური ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შემდეგ გამოვლინდა, რომ კონკურსანტ გიორგი დვალაშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გეოგრაფიის დეპარტამენტის გეომორფოლოგია და კარტოგრაფიის კათედრაზე, არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე და არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი გეოგრაფიის დოქტორ **გიორგი დვალაშვილის** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია გეოგრაფიის დეპარტამენტის, გეომორფოლოგია და კარტოგრაფიის კათედრის, ვაკანტურ თანამდებობაზე, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, სასწავლო მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში, გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრაზე, ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში ერთხმად გამარჯვებულად გამოვლინდა გეოგრაფიის დოქტორი **გიორგი დვალაშვილი.**

კომისიამ, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად, იმსჯელა და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივესიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივესიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

კომისიის თავმჯდომარე, პროფ.	/დ. ნიკოლაიშვილი/
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ასოც. პროფ.	/ვ. ტრაპაიძე/
კომისიის მდივანი, ასოც. პროფ.	/ლ.ლაღიძე/
კომისიის წევრი, პროფ.	/ლ. მაჭავარიანი/
კომისიის წევრი, პროფ.	/დ. კერესელიძე/